# პირველად წლეულს

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 20 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მინსკი) - 4:1 (3:1).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (მეტრეველი).

მინსკი: ვერგეენკო, კუზნეცოვი, ვორონინი, გირკო, სემიონოვი, კურნევი (ბურჟუევი), ტოლეიკო, სმირნოვი, ვასილიევი, იურგელევიჩი (ლომაკინი), სახაროვი.

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები - 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

თბილისის “დინამოს” ერთხელ ჰქონდა საკმაოდ ხანგრძლივი წარუმატებლობის პერიოდი. ეს იყო 1954-58 წლები, როცა გუნდი საკავშირო ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში VII-IX ადგილებს იკავებდა და იმ კოლექტივებსაც კი ჩამორჩებოდა, რომლებსაც უწინ სულ იოლად სძლევდა. მაგრამ იმ მძიმე კრიზისის წლებშიც თბილისელები გამოირჩეოდნენ აგრესიული თავდასხმით და სეზონს ისე არ გაუშვებდნენ, რამდენიმე გუნდის კარში 3-5 ბურთი რომ არ გაეტანათ.

წლეულს ჩვენს მაყურებელს მოენატრა გოლები. დინამოელებმა პირველი წრე ისე განვლეს, რომ მხოლოდ ორჯერ გაიტანეს 2-2 გოლი, სხვა შემთხვევებში ისინი ან ერთადერთი ბურთით კმაყოფილდებოდნენ, ან “ხელცარიელი” მიდიოდნენ მინდვრიდან.

ახლა, როგორც იქნა, ვნახეთ ჩვენი გუნდის თავდასხმა - შემტევი, ენერგიული და აგრესიული. მინსკის თანაკლუბელებთან გატანილი 4 გოლი მარტო იმით კი არ უნდა იყოს სასიხარულო, რომ თბილისელთა ბურთების ბალანსი უარყოფითიდან დადებითად იქცა. ეს თავისთავად. მომავალ საპასუხისმგებლო მატჩებში საბოლოოდ უნდა გამოსწორდეს ის ნაკლოვანება, რომელიც ასე უკან ეწეოდა ჩვენს კოლექტივს - თავდასხმის უშედეგობა.

მინსკის “დინამო” თბილისელებთან გამოვიდა თავისი მთავარი ბომბარდირის მალოფეევის გარეშე. მიუხედავად ამისა, გუნდი საკმაოდ ოპტიმისტურად შეუდგა თამაშს და დასაწყისშივე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა მეტოქის კართან. საკმაო ხანს მასპინძლებს არ გამოსდიოდათ შეტევა. წინა ხაზზე ხშირად იშლებოდა კომბინაციები, არ ჩანდა მაორგანიზებელი მოთამაშე. და ამ უპერსპექტივო იერიშებში უცებ გამოიჩინა თავი ყიფიანმა. მე-19 წუთზე იგი მოპირდაპირე მცველთა გარემოცვაში აღმოჩნდა და წინ გასასვლელი გზა დაკეტილი ჰქონდა. შეიძლებოდა ბურთის გაგზავნა მარჯვნივ, სადაც ამ მომენტში ძოძუაშვილი გაიხსნა, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო და მოულოდნელად ძლიერად დაარტყა კარში. ვერგეენკომ ვერაფერი შეძლო - 1:0.

პირველ გოლს მალე მეორეც მოჰყვა, რომლის ავტორი პეტრიაშვილი იყო. მან კარგად მოძებნა თავისუფალი ადგილი სწრაფად გათამაშებული კომბინაციისას და ზუსტადაც დაარტყა კარში.

ეს 2 გოლი გატანილი იქნა სამ წუთში. გავიდა 5 წუთი და მსაჯს კიდევ ერთხელ მოუხდა გოლის აღნიშვნა. ბურთი ამჯერად აღმოჩნდა თბილისელთა კარის ბადეში სმირნოვის თავური დარტყმის შემდეგ. ეს გოლი მთლიანად მცველებისა და მეკარე ურუშაძის ბრალია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა მანამდეც და მერეც რამდენიმე ძნელი ბურთის აღება შეძლო.

საუკეთესო იყო 37-ე წუთზე გ. ნოდიას გოლი. ჯერ ბურთი გათამაშდა რამდენიმე ფეხბურთელს შორის. მერე გ. ნოდიამ სწრაფი დრიბლინგით განვლო საკმაოდ დიდი მანძილი, ვერგეენკოსთან პირისპირ დარჩა და შორეულ კუთხეში დაარტყა - 3:1.

შესვენების შემდეგ მინსკელებმა სცადეს კონტრთამაშის შექმნა. მათი თავდამსხმელები რამდენიმეჯერ ხელსაყრელ ვითარებაშიც აღმოჩნდნენ, მაგრამ ყოველივე ამას შედეგი არ მოჰყოლია. რაც შეეხება მასპინძლებს, მათი თამაში მეტრეველის გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, უფრო მოფიქრებული გახდა. მატჩის ანგარიშს წერილი დაუსვა გ. ნოდიამ, რომელმაც 51-ე წუთზე ფინტზე წამოაგო სემიონოვი და ზუსტად გაიტანა გოლი - 4:1. ამავე გ. ნოდიას 78-ე წუთზე ნაღდი შესაძლებლობა ჰქონდა შეესრულებინა მიმდინარე ჩემპიონატის პირველი "ჰეტ-თრიკი" (3 ბურთი ერთ მატჩში), მაგრამ სულ ოდნავ ააცილა მიზანს.

რ. ქორიძე.

"ლელო", 22 ივლისი, 1971 წ.